ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი
საფეხური - სამაგისტრო
სილაბუსი

1.	**სასწავლო კურსის დასახელება**	**მშვიდობის დაცვისა საერთაშორისო მექანიზმები** **International Peacekeeping**
2.	**სასწავლო კურსის ხანგრძლივობა**	1 სემესტრი
3.	**კრედიტების რაოდენობა**	6 კრედიტი 1 კრედიტი=25 საათი
4.	**საათების განაწილება**	**საკონტაქტო: 32 სთ** • სააუდიტორიო ლექცია - 18 სთ • სემინარები - 12 სთ • შუალედური - 2 სთ **დამოუკიდებელი მუშაობა: 118 სთ** **სულ: 150 სთ**
5.	**ლექტორი**	**დავით აფრასიძე, პროფესორი** **ტელ.ნომ:** 577267069 **ელ.ფოსტა:** david_aprasidze@iliauni.edu.ge
6.	**სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობები**	სასავლო კურსზე დაშვების წინაპირობა არ არსებობს, თუმცა სასურველია სტუდენტები ფლობდნენ **ინგლისური ენის B1.1** დონეს მაინც, რადგან სასწავლო მასალების არის ინგლისურენოვანი
7.	**სწავლების მეთოდები**	• ვერბალური და წერითი მეთოდი; • დისკუსია; • დემონსტრირების მეთოდი.
8.	**სასწავლო კურსის მიზანი**	სალექციო კურსის მიზანია, სტუდენტებს მისცეს ღრმა და სისტემური ცოდნა მშვიდობის დაცვისა და უზრუნველყოფის თანამედროვე საერთაშორისო მექანიზმების თაობაზე. აქ იგულისხმება როგორც შესაბამისი თეორიული დებატები და ისტორიული კონტექსტი, ასევე სამშვიდობო მიდგომებისა და ოპერაციების სხვადასხვა ტიპების მიმოხილვა, სხვადასხვა ინსტიტუტებისა და აქტორების როლი და მონაწილეობა.

9.	**ძირითადი თემები**	• მშვიდობის დაცვა და საერთაშორისო ურთიერთობების თეორიები • მშვიდობის დაცვა ცივი ომის დროს • გაერო და მშვიდობის დაცვა • რეგიონალიზაცია და მშვიდობის დაცვა • ძალის გამოყენება და ჰუმანიტარული ინტერვენცია • სამშვიდობო ოპერაციების სახეები • სამშვიდობო ოპერაციებში კონტრიბუციის საკითხი • სამშვიდობო ოპერაციების ძირითადი გამოწვევები
10.	**სწავლის შედეგები და კომპეტენციები (დარგობრივი და ზოგადი)**	**დარგობრივი კომპეტენციები:** სალექციო კურსის დასრულების შემდეგ სტუდენტს ეცოდინება: • მშვიდობის დაცვის საერთაშორისო მექანიზმების თეორიული და ისტორიული საფუძვლები; სალექციო კურსის დასრულების შემდეგ სტუდენტი შეძლებს: • გაანალიზოს საერთაშორისო მშვიდობის დაცვაში ჩართული ძირითადი ინსტიტუტებისა და აქტორებისა როლი და მნიშვნელობა; • განასხვავოს და შეაფასოს მშვიდობის დაცვისა და უზრუნველყოფის სხვადასხვა სახეები და მათი მნიშვნელობა. **ზოგადი კომპეტენციები:** სალექციო კურსის დასრულების შემდეგ სტუდენტს ექნება: • დარგობრივი ინფორმაციის დამოუკიდებლად მოიპოვების, ერთმანეთთან დაკავშირების, სინთეზის და კრიტიკული ანალიზის უნარი; • სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული გააზრებისა და შესაბამისი თანმიმდევრული დასკვნების გამოტანის უნარ-ჩვევები; • თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნო-ლოგიების გამოყენების უნარი; • საკუთარი სწავლის შემდგომი საჭიროებების დადგენის უნარი; • აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვის უნარი; • ლიბერალური ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასებისა და ამ კუთხით, ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანის უნარი.
11.	**შეფასების წესი**	**შეფასება 100 ქულიანი სისტემით მიმდინარეობს.** ქულები გადანაწილდება და ისაზღვრება ამგვარად: (A)91-100 ფრიადი (B) 81-90 ძალიან კარგი (C) 71-80 კარგი (D) 61-70 დამაკმაყოფილებელი

(E) 51-60 საკმარისი
(FX) 41-50 ვერ ჩააბარა,სტუდენტს ეძლევა საბოლოო გამოცდის ერთხელ გადაბარების უფლება
(F) 0-40 ჩაიჭრა, სტუდენტმა კრედიტის მიღებისათვის თავიდან უნდა გაიაროს კურსი

შეფასების კომპონენტები:

შეფასების ფორმა	შეფასების კომპონენტი	მინიმალური ზღვარი
შუალედური შეფასება	• აქტიურობა - 10 ქულა • შუალედური შეფასება I (ესე) – 30 ქულა • კვლევითი რეფერატის გეგმის პრეზენტაცია – 30 ქულა	22 ქულა
დასკვნითი შეფასება	• დასკვნითი შეფასება (კვლევითი რეფერატი) - 30 ქულა	11 ქულა

დასკვნითი შეფასება არის შემაჯამებელი შეფასება და მასზე გასვლა სავალდებულოა ყველა სტუდენტისათვის.

1. აქტიურობა - 20 ქულა

აქტიურობის შეფასება მოიცავს სემინარზე სტუდენტის დისკუსიაში მონაწილეობის ხარისხსა და სიხშირეს.

- **15-20 ქულა** - სემინარზე სტუდენტი სისტემატურად ავლენდა საკითხის სიღრმისეულ ცოდნას და ღრმად ფლობდა კურსით გათვალისწინებულ მასალას. მისი კონტრიბუცია დისკუსიაში იყო მნიშვნელოვანი, იგი მუდმივად, ვრცლად და ადეკვატურად პასუხობდა დასმულ კითხვებს, დისკუსიაში ავლენდა კრიტიკული აზროვნების და ლოგიკური დასკვნების ჩამოყალიბების უნარს.
- **10-14 ქულა** - სემინარზე სტუდენტი ხშირად ავლენდა საკითხის სიღრმისეულ ცოდნას და ხშირად ღრმად ფლობდა კურსით გათვალისწინებულ მასალას. მისი კონტრიბუცია დისკუსიაში ხშირად იყო მნიშვნელოვანი, იგი ხშირად ვრცლად და ადეკვატურად პასუხობდა დასმულ კითხვებს, სტუდენტი დისკუსიაში ხშირად ავლენდა კრიტიკული აზროვნების და ლოგიკური დასკვნების ჩამოყალიბების უნარს.
- **5-9- ქულა** – სემინარზე სტუდენტი იშვიათად ავლენდა საკითხის სიღრმისეულ ცოდნას და იშვიათად ფლობდა კურსით გათვალისწინებულ მასალას. მისი კონტრიბუცია დისკუსიაში იშვიათად იყო

მნიშვნელოვანი, იგი იშვიათად ადეკვატურად პასუხობდა დასმულ კითხვებს, სტუდენტი დისკუსიაში იშვიათად ავლენდა კრიტიკული აზროვნების და ლოგიკური დასკვნების ჩამოყალიბების უნარს.

- **1-4 ქულა** - სემინარზე სტუდენტი თითქმის არასდროს ან არასდროს ავლენდა საკითხის სიღრმისეულ ცოდნას და ძალიან იშვიათად ფლობდა კურსით გათვალისწინებულ მასალას. მისი კონტრიბუცია დისკუსიაში ძალიან იშვიათად იყო მნიშვნელოვანი, იგი ძალიან იშვიათად პასუხობდა ადეკვატურად დასმულ კითხვებს, სტუდენტი დისკუსიაში თითქმის არასდროს ავლენდა კრიტიკული აზროვნების და ლოგიკური დასკვნების ჩამოყალიბების უნარს.
- **0 ქულა** - სტუდენტს არასდროს მიუღია მონაწილეობა სასემინარო დისკუსიაში.

შენიშვნა: სტუდენტები უნდა გაეცნონ სავალდებულო საკითხავ მასალას და ჩაერთონ დისკუსიაში ლექციის დროს. ყოველი შემთხვევის შემდეგ მათ ლექტორს უნდა გაუგზავნონ ერთგვერდიანი მოკლე აღწერა.

2. შუალედური შეფასება (ესე) – 30 ქულა

სტუდენტმა უნდა დაწეროს კრიტიკული ესე კურსით გათვალისწინებული ერთ-ერთი საკითხის შესახებ (შეთავაზებული იქნება სამი საკითხი), სადაც მან უნდა წარმოაჩინოს საკუთარი კრიტიკული აზროვნება და ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზი-სინთეზის უნარ-ჩვევები. კრიტიკული ესე უნდა მოიცავდეს მინიმუმ 500 და მაქსიმუმ 600 სიტყვას.

კრიტერიუმი	**ქულა**
ნაშრომის სტრუქტურა (რამდენად თანმიმდევრულად არის აგებული ნაშრომი? რამდენად სრულყოფილად არის წარმოდგენილი მისი შემადგენელი კომპონენტები: (შესავალი, ძირითადი ნაწილი და დასკვნა?)	**6 ქულა**
ფაქტების ორგანიზაცია (რამდენად შეუძლია სტუდენტს ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხების იდენტიფიკაცია, მათი ლოგიკური თავსებადობის დადგენა და ფაქტებზე დამყარებული მსჯელობა? რამდენად არის შესაძლებელი აღნიშნული ფაქტების შემოწმება ანუ რამდენად ვალიდურია ისინი?)	**6 ქულა**
კრიტერიუმები და არგუმენტები (რამდენად არის დამოწმებული სხვების შეხედულებები	**6 ქულა**

რელევანტური არგუმენტებით? რამდენად ჩანს ნაწერში რამდენიმე კრიტერიუმის ანალიზი? რამდენად ახერხებს სტუდენტი საპირისპირო კრიტერიუმების დაბალანსებას?)	
რეფლექსია (რამდენად ჩანს სტუდენტის უნარი, დამოუკიდებელი აზროვნების გზით, მივიდეს გადაწყვეტილებამდე და ნათლად ჰქონდეს გაცნობიერებული, თუ როგორ და რატომ მივიდა ამა თუ იმ დასკვნამდე? რამდენად ახდენს სტუდენტი ჩვენს წარსული გამოცდილებისა და ახლანდელი ცოდნის დაკავშირებას?)	**6 ქულა**
შეფასება (რამდენად შეაქვს სტუდენტს სიახლე უკვე არსებულ ცოდნაში? რამდენად აქვს სტუდენტს შეფასების უნარი, კეროდ: რამდენად აჯამებს სტუდენტი ავტორის იდეებს და რამდენად ჩანს ნაწერში მათი კრიტიკული ანალიზი? რამდენად ახდენს სტუდენტი დეტალების ინტერპრეტირებას?)	**6 ქულა**

3. კვლევითი პროექტი და მისი პრეზენტაცია - 30 ქულა

ინსტრუქცია: სტუდენტმა უნდა გააკეთოს კვლევითი რეფერატის გეგმის პრეზენტაცია თავისი რეფერატი თემის შესახებ.

- **25-30 ქულა** - პრეზენტაცია სტრუქტურულად გამართულია. საკითხი ზუსტად და ამომწურავად არის გადმოცემული; ტერმინოლოგია დაცულია; არგუმენტები და წყაროები ვალიდურია; სტუდენტი სრულად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ განვლილ მასალას, ღრმად და საფუძვლიანად აქვს ათვისებული როგორც ძირითადი, ისე დამხმარე ლიტერატურა; სტუდენტი კრიტიკულად განიხილავს საკითხს, მას აქვს ორიგინალური დაკვირვებები და მსჯელობს თანმიმდევრულად. ეფექტურად იყენებს ვიზუალიზაციის ხერხებს და ეფექტურად შეუძლია აუდიტორიის ჩართვა და დისკუსიის მართვა.
- **19-24 ქულა** - პრეზენტაცია სტრუქტურულად გამართულია. საკითხი უმეტესად ზუსტად და ამომწურავად არის გადმოცემული; ტერმინოლოგია დაცულია; არგუმენტები და წყაროები უმეტესად ვალიდურია; სტუდენტი ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ განვლილ მასალას, უმეტესად ღრმად და საფუძვლიანად აქვს ათვისებული როგორც ძირითადი, ისე დამხმარე ლიტერატურა; ის ხშირად კრიტიკულად განიხილავს საკითხს, აქვს ორიგინალური დაკვირვებები და მსჯელობს თანმიმდევრულად.

		იყენებს ვიზუალიზაციის ხერხებს და შეუძლია აუდიტორიის ჩართვა და დისკუსიის მართვა. • **12-18 ქულა** - პრეზენტაცია სტრუქტურულად გამართულია. საკითხი დამაკმაყოფილებად არის გადმოცემული; ტერმინოლოგია დაცულია; არგუმენტები და წყაროები ვალიდურია; სტუდენტი დამაკმაყოფილებად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ განვლილ მასალას, დამაკმაყოფილებლად წარმოაჩენს როგორც ძირითადი, ისე დამხმარე ლიტერატურის ცოდნას; სტუდენტი ხშირად კრიტიკულად განიხილავს საკითხს, მისი ორიგინალური დაკვირვებები და მსჯელობის თანმიმდევრულობა დამაკმაყოფილებელია. პრეზენტაციის ვიზუალური მხარე დამაკამაყოფილებელია. სტუდენტს დამაკამყოფილებად შეუძლია აუდიტორიის ჩართვა და დისკუსიის მართვა. • **5-11 ქულა** - პრეზენტაცია სტრუქტურულად ნაწილობრივ გამართულია. საკითხი ნაწილობრივ არის ამომწურავად გადმოცემული; ტერმინოლოგია მწირია; არგუმენტები და წყაროები ნაწილობრივ ვალიდურია; სტუდენტი ნაწილობრივ ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ განვლილ მასალას და ძირითად/დამხმარე ლიტერატურას; ის იშვიათად განიხილავს საკითხს კრიტიკულად. ასევე ნაწილობრივ მიმართავს ორიგინალური დაკვირვებებსა და იშვიათად მსჯელობს თანმიმდევრულად. სტუდენტი იშვიათად იყენებს ვიზუალიზაციის ხერხებს და ნაწილობრივ შეუძლია აუდიტორიის ჩართვა და დისკუსიის მართვა. • **1-4 ქულა** - პრეზენტაცია სტრუქტურულად გამართავია. საკითხი არასდროს ან თითქმის არასდროს არ არის ამომწურავად გადმოცემული; ტერმინოლოგია ძალზედ მწირია; არგუმენტები და წყაროები არავალიდურია; სტუდენტი თითმის არ ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ განვლილ მასალას და ძირითად/დამხმარე ლიტერატურას; ის ძალზედ იშვიათად განიხილავს საკითხს კრიტიკულად. ასევე ძალზედ იშვიათად ან არასდროს მიმართავს ორიგინალურ დაკვირვებებს. სტუდენტის მსჯელობა უმეტესად არათანმიმდევრულია. სტუდენტი ვერ იყენებს ეფექტურად ვიზუალიზაციის ხერხებს და უჭირს აუდიტორიის ჩართვა და დისკუსიის მართვა. **შენიშვნა:** რეფერატის სავარაუდო საკითხები მოცემულია კურსის გეგმაში.

<table>
<tr><td></td><td></td><td>

4. დასკვნითი შეფასება - რეფერატი 30 ქულა

სტუდენტმა უნდა დაწეროს მაქსიმუმ 4000 სიტყვიანი ანალიტიკური რეფერატი, რომლის მიზანია ფოკუსირება მოახდინოს მოცემულ დისციპლინაში/თემის/საკითხის არსებულ პრობლემებზე და დებატებზე. სტუდენტმა უნდა მომოიხილოს თემასთან დაკავშირებული მინიმუმ 3 წყარო, ეს შეიძლება იყოს პირველადი და მეორეული წყაროები და სხვა და მოახდინოს მათი კონტექსტუალიზაცია.

<table>
<tr><th>კრიტერიუმი</th><th>ქულა</th></tr>
<tr><td>ნაშრომის სტრუქტურა (რამდენად დაცულია ნაშრომის სტრუქტურა? რამდენად თვალსაჩინოა ნაშრომის ნაწილების ლოგიკური ბმა?)</td><td>6 ქულა</td></tr>
<tr><td>თეორიული ნაწილი (შესავალი) (რამდენად არის ნაშრომში განსაზღვრული თემის აქტუალობა, მიზანი და ამოცანები? რამდენად ახდენს სტუდენტი შესავალ ნაწილში საკითხის კონტექსტუალიზაციას?)</td><td>6 ქულა</td></tr>
<tr><td>პრაქტიკული ნაწილი (ძირითადი ნაწილი) (რამდენად არის თემასთან დაკავშირებული განხილული წყაროები ვალიდური და სანდო? რამდენად არის ლოგიკურად არის განხილული სტუდენტის მიერ აღნიშნული წყაროები, რამდენად არის ავტორებისა და თავისი მოსაზრებები არგუმენტირებულად შეჯამებული? რამდენად არის წარმოდგენილი სტუდენტის საკუთარი პოზიცია?)</td><td>6 ქულა</td></tr>
<tr><td>დასკვნა (რამდენად არის დასკვნაში მოცემული სტუდენტის მიერ საკუთარი შეფასებების ლოგიკური შეჯამება? რამდენად ასახავს დასკვნა სტუდენტის მიერ გაკეთებულ მოკლე რეფლექსიას?)</td><td>6 ქულა</td></tr>
<tr><td>აკადემიური კომუნიკაციის პრინციპების დაცვა (რამდენად დაცულია ნაშრომის ენა და პასუხობს აკადემიური ენის მოთხოვნებს? რამდენად არის გამართული ტექსტი გრამატიკულად და სტილისტურად?) რამდენად შეესაბამება ციტირება/ ბიბლიოგრაფია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური სტილის მოთხოვნებს?)</td><td>6 ქულა</td></tr>
</table>

შენიშვნა: რეფერატი უნდა გაფორმებული იყოს, როგორც სამეცნიერო სტატია და ეხებოდეს პრეზენტაციის დროს გაკეთებულ მოხსენებას.

</td></tr>
<tr><td>12.</td><td>ლიტერატურა და სხვა</td><td>ძირითადი და დამატებით ლიტერატურა იხ. განაწილება</td></tr>
</table>

	რესურსები	**კვირების თემატიკის მიხედვით.** **დამხმარე ვებრესურსი:** Peacekeeping Operations http://www.un.org/en/peacekeeping/
13.	**თემატიკა კვირების მიხედვით**	1-8 კვირების განმავლობაში ლექტორი კითხულობს ლექციებს, ხოლო სტუდენტები ეცნობიან სავალდებულო საკითხავ მასალას და განიხილავენ სემინარებზე. სავალდებულო საკითხავს სტუდენტი უნდა გაეცნოს ლექციამდე, ხოლო ლექციის შემდეგ ლექტორს ელფოსტაზე გაუგზავნოს ერთგვერდიანი შეჯამება დისკუსიის თაობაზე. მე-9 კვირას ტარდება შუალედური შეფასება. მე-10-15 კვირებში სტუდენტები აკეთებენ კვლევითი რეფერატის გეგმების პრეზენტაციას. მე-16 კვირას სტუდენტი ლექტორს უგზავნის კვლევით რეფერატს. **კვირა I:** კურსის მიზნები; სილაბუსის გაცნობა **კვირა II:** მშვიდობა, მშვიდობის დაცვა და საერთაშორისო ურთიერთობების თეორია სავ. ლიტ.: Oliver P. Richmond, 'Reclaiming Peace in International Relations', *Millennium – Journal of International Studies*, Vol. 36, No. 3, pp. 439-470. დამ. ლიტ: Oldrich Bures, 'Wanted: A Mid-Range Theory of International Peacekeeping', *International Studies Review*, Vol. 9, No. 3, 2007, pp. 407-436. Oliver P. Richmond, Peace in International Relations, Routledge 2008. **კვირა III:** მშვიდობის დაცვის ისტორიული კონტექსტი სავ. ლიტ.: Alex J. Bellamy, Paul D. Williams , Understanding Peacekeeping, 2nd Edition, Polity 2015, Part II: Historical Development, pp. 69-152.

		დამ. ლიტ: John Terence O"Neil and Nicolas Rees, UN Peacekeeping in Post-Cold War Era, Routledge 2005, Chapter 2, pp. 23-45. Muzaffer Ercan Yilmaz, UN Peacekeeping in Post-Cold War Era, *International Journal on World Peace,* Vol. 22, No. 2 (JUNE 2005), pp. 13-28. **კვირა IV:** სამშვიდობო ოპერაციების სახეები სავ. ლიტ.: Kai Michael Kenkel, Five generations of peace operations: from the "thin blue line" to "painting a country blue, Rev. Bras. Polít. Int. 56 (1), 2013: 122-143. დამ. ლიტ: Alex J. Bellamy, Paul D. Williams , Understanding Peacekeeping, 2nd Edition, Polity 2015, Part III: Types of Peace Operations, pp. 153-279. **კვირა V:** მშვიდობის დაცვა და ძალის გამოყენება სავ. ლიტ.: James Sloan, 'The Evolution of the Use of Force in UN Peacekeeping', Journal of Strategic Studies, Vol. 37, No. 5, 2014, pp. 674-702. დამ. ლიტ: Trevor Findlay, *The Use of Force in UN Peace Operations,* Stockholm International Peace Research Institute*, 2010.* Mats Berdal & David H. Ucko, 'The United Nations and the Use of Force: Between Promise and Peril', *Journal of Strategic Studies*, Vol. 37, No. 5, 2014, pp. 665-673. **კვირა VI:** მშვიდობის დაცვისა და მშვიდობის უზრუნველყოფის რეგიონალიზაცია სავ. ლიტ.: Oldrich Bures, 'Regional Peacekeeping Operations: Complementing or Undermining the United Nations Security Council?', *Global Change, Peace & Security*, Vol. 18, No. 2, 2006, pp. 83-99. დამ. ლიტ.: Joachim A. Koops and Thierry Tardy, The UN Inter-organizational Relations in Peacekeeping, in: The Oxford Handbook of United

		Nations Peacekeeping Operations, pp. 60-78. Paul D. Williams, 'International peacekeeping: the challenges of state-building and regionalization', *International Affairs*, Vol. 81, No. 1, 2005, pp. 163-174. **კვირა VII:** კონტრიბუციის საკითხები სავ. ლიტ.: Alex J. Bellamy and Paul D. Williams, *Broadening the Base of United Nations Troop- and Police Contributing Countries*, Providing for Peacekeeping No. 1, New York: International Peace Institute, August, 2012. დამ. ლიტ: Alex J. Bellamy and Paul D. Williams (eds.), Providing Peacekeepers: The Politics,Challenges, and Future of United Nations Peacekeeping Contributions, Oxford: Oxford University Press, 2013, Part I and Part V. Alex J. Bellamy and Paul D. Williams, 'Who's Keeping the Peace?', *International Security*, Vol. 29, No. 4, 2005, pp. 157-195. **კვირა VIII:** სხვა თანამედროვე გამოწვევები სავ. ლიტ.: Alex J. Bellamy, Paul D. Williams, Understanding Peacekeeping, 2nd Edition, Polity 2015, Part IV: Contemporary Challenges, pp. 321-398. დამ. ლიტ: Gezim Visoka and John Doyle, 'Peacebuilding and International Responsibility', *International Peacekeeping*, Vol. 21, No. 5, 2014. Darya Pyshkina, 'A Recipe for Success? Ingredients of a Successful Peacekeeping Mission', *International Peacekeeping*, Vol. 13, No. 2, 2006, pp. 133-149. **კვირა X: შუალედური წერა აუდიტორიაში** **კვირა XI-XV:** ინდივიდუალური პროექტების პრეზენტაცია ინდივიდუალური პრეზენტაციების დროს სტუდენტმა უნდა გამოიყენოს კურსის თეორიულ ნაწილში მიღებული ცოდნა. შემოთავაზებული ქეისები (თუმცა, სტუდენტმა შეიძლება აირჩიოს სხვა ქეისიც): • რუანდა

		• კოსოვო • აღმ. ტიმორი • სამხ. სუდანი • ლიბია • ავღანეთი • იუგოსლავია **შემთხვევების შერჩევისთვის გამოგადგებათ:** • Joachim Koops, Norrie MacQueen, Thierry Tardy, Paul D. Williams (Eds.), The Oxford Handbook of United Nations Peacekeeping Operations (Oxford Handbooks) 1st Edition, Oxford University Press 2015. - ასევე ვებგვერდი: http://www.un.org/en/peacekeeping/ **კვირა XVI: დასკვნითი შეფასება**

კომპეტენციების რუკა

ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის გაკეთების უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
X	X	X	X	X	X